



**ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საპრეზიდო**



გ ა ნ გ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 120

“ 17 — ” მარტი — 2023 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე
(საკადასტრო კოდი: №01.14.05.006.118), „საზოგადოებრივი მაუწყებლის“

ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის
დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28
თებერვლის №47 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის
კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2
პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე
მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39
დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების
გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 მარტის №23.325.370 განკარგულების
შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.006.118), „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №47 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01230303821-67 (№012305411-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.325.370

15 / მარტი / 2023 წ.

„ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 30 იანვარს N01230303821-67 (N012305411-67) განცხადებით მიმართა ხოდარ ჭიჭინაძემ (პ/ნ 62011003708) და მოითხოვა „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118). საპროექტო ტერიტორიის ფართობია 18761 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რეკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1); გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებულია შიდა კამპუტაციური გამწვანება.

საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. რომლის მიხედვითაც, საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი პარამეტრები:

კ1 - 0,7; კ2 - 3,5; კ3 - 0,2;

მაქსიმალური სართულიანობა - 4 სართული;

პროექტით გათვალისწინებული შენობა-წაგებობები:

ა ბლოკი - ადმინისტრაციული შენობა.



B ბლოკი - პაცილიონები/სტუდიების შენობა.

C ბლოკი - კინოფირების არქივი.

D ბლოკი - ტექნიკური შენობა.

E ბლოკი - ავტოსადგომი.

საპროექტო მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილზე, მდებარეობს სანიაღვრე კოლექტორი, სადაც შპს „თბილისერვის ჯგუფის“ მიერ დადგენილია შემდეგი შეზღუდვა: ყოველი შენობა-ნაგებობის კედელი სანიაღვრე კოლექტორის კედლიდან დაცილებული უნდა იქნეს არა ნაკლებ 5 მეტრისა. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იქნეს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე.

განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით იგეგმება A და B ბლოკებს შორის მიწისპირა სართულზე დამაკავშირებელი ხიდი, ასევე, C ბლოკს, რომელიც წარმოადგენს არქივის მიწისქვეშა შენობას, ემატება ერთი მიწისშედა სართული (ერთი მიწისქვეშა და ერთი მიწისშედა). ამასთან, იგეგმება D (ტექნიკური შენობა) და E (ავტოსადგომი) ბლოკების კონფიგურაციის ცვლილება (გაზრდა). დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი სხვა პარამეტრები რჩება უცვლელი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორგებე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა საგადადებულო:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა დამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოუწენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 28 თებერვლის N012305931 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანამშაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოსკაიას ქუჩა N31-ში მდგრადი ნაგებობაზე (საგადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაუწყებლის“

ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N17 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე,

N01230303821-67 (N012305411-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობაში გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაცწყებლის“ ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ქვემანი N64), საქართველოს განონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ვახა კალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მარია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 012305931
თარიღი: 28/02/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 23 თებერვლის №012305411-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკონსკაიას ქუჩის №31-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.05.006.118) საბოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი ერთი ძირი მწვანე ნარგავი (№133) განცემული არ არის მიწანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის „შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული ერთი ძირი მწვანე ნარგავი განცემული ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15-ს, აღნიშნული მწვანე ნარგავის მოჭრა-გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემსრულებლი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნები აღწერილი 6 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმად გადაირგოს ზემოაღნიშნული 6 ძირი (№132; №134; №135; №136; №181) მწვანე ნარგავი, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 3 ძირი (№155; №157; №165) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგნს დიდტანიანი ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხელის ბუნებრივი გარემოდან ამოღება/ გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმად გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციალის და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

ასევე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდოროლოგიური) პროექტის ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი: 109 ძირი მწვანე ნარგავი და საპროექტო დასარგავი: 27 ძირი პიმალაის კედარი, 27 ძირი კავკასიური ცაცხვი; ჯამში - 163 ერთეული) სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების

კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (3 615.9 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ღანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ზაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

დამატებით გაცნობებით, რომ განმცხადებელმა დეტალური პროექტირების დროს ტაქსაციის შენიშვნის ველში თითოეულ ჯანსაღ მწვანე ნარგავს უნდა მიუთითოს გადარგვისა და გახარების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.


დამატებით გაცნობებით, რომ დეტალური პროექტირების დროს საპროექტო ტერიტორიაზე დასარგავად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: სის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).


წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიტვისა, მასზე გრულდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები) სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; დეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.


ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3,5 მეტრი, მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; დეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.


გამოყენებულია კვალიფიცირებული სელმოწერა/ელექტრონული შტამპი












አዲስ አበባ ቤት ማስተዳደር የሚከተሉ ስምምነት መረጃዎች



ବ୍ୟକ୍ତିଗତ ପରିଚୟ	ପରିଚୟ କରିବାର ଅନୁମତି ପାଇଲାମୁଣ୍ଡଲିଙ୍କ	ପରିଚୟ କରିବାର ଅନୁମତି ପାଇଲାମୁଣ୍ଡଲିଙ୍କ	ପରିଚୟ କରିବାର ଅନୁମତି ପାଇଲାମୁଣ୍ଡଲିଙ୍କ
ବ୍ୟକ୍ତି କାହିଁ କାହିଁ ଜୀବିତ କରିବାକୁ ଆବଶ୍ୟକ କରିଛି।	A Devergo - ବ୍ୟକ୍ତିକୁ ବ୍ୟକ୍ତିରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାକୁ ଆବଶ୍ୟକ କରିଛି;	B Devergo - ବ୍ୟକ୍ତିକୁ ବ୍ୟକ୍ତିରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାକୁ ଆବଶ୍ୟକ କରିଛି;	C Devergo - ବ୍ୟକ୍ତିକୁ ବ୍ୟକ୍ତିରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାକୁ ଆବଶ୍ୟକ କରିଛି;
ବ୍ୟକ୍ତି କାହିଁ କାହିଁ ଜୀବିତ କରିବାକୁ ଆବଶ୍ୟକ କରିଛି।	D Devergo - ବ୍ୟକ୍ତିକୁ ବ୍ୟକ୍ତିରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାକୁ ଆବଶ୍ୟକ କରିଛି;	E Devergo - ବ୍ୟକ୍ତିକୁ ବ୍ୟକ୍ତିରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାକୁ ଆବଶ୍ୟକ କରିଛି;	
ବ୍ୟକ୍ତି କାହିଁ କାହିଁ ଜୀବିତ କରିବାକୁ ଆବଶ୍ୟକ କରିଛି।			